# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 80 შაბათი, 10 აპრილი 1910 წ. № 80

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



**მართა დავითის ასული აგლაძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მისი მეუღლის

**გიორგი დავითის ძის აგლაძის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. (2—1)

კვირას, 11 აპრილს, დილის 12 საათზე, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

**გენერალ-მაიორის ქრისტეფორე იოსების ძის მამაცაშვილის**

სულის მოსახსენებლად ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი და შვილნი** განსვენებულისა. (1—235—1)

**კნეინა ნინო ივანეს ასული ერისთავისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ

**თავ. გრიგოლ კონსტანტინეს ძის ერისთავის**

გარდაცვალების მეცხრე დღეს, კვირას, 11 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—236—1)

**ა. მ. სიმონიანცის**

**ლამფებისა და ჭურჭლეულობის საწყობი**

სომხის ბაზრისა და ხარაზების ქუჩის კუთხე, საკუთარი სახ. ხოჯაფარუხოვის ქარვასლის პირდაპირ.

**განყოფილება:** ერევნის მოედნისა და სომხის ბაზრის კუთხე, ადელხანოვის მაღაზიის გვერდით. ახლად მიღებულია დიდ-ძალი ლამფები საზღვარგარეთისა და რუსეთის ფაბრიკებისა. ახალი „გარელკები", „პოლიარნაია ზვეზდა და მატადორი" ბერლინიდან. სადილისა და ჩაის სერვიზი, ინგლისის ფაიანსი, ბროლი და ბაკკარი. ნავთის სამზარეულო, ემალის ჭურჭელი, სამოვარი, დანა-ჩანგალი, ფრაჟისა და სხვ. კოვზები. საქონელი მიღებულია პირდაპირ ფაბრიკებიდან, ჩაუწყობლივ, ნარდათ, ამიტომ შემიძლიან კონკურენცია გაუწიო სხვა მოვაჭრეებს როგორც სიიაფით, ისე საქონლის ღირსებით, რაშიაც ყველას შეუძლიან პირადად დარწმუნდეს. ქორწინებისათვის, ნადიმებისათვის და სხვა წვეულობისათვის მაღაზიის განყოფილებიდან იძლევა ქირით ჭურჭელი. (3—ტ.—1)

**იბეჭდება და მალე გამოვა BATON-ის წიგნი**

**„ერი და კაცობრიობა".**

დაბეჭდილია 300 გვერდზე მეტი. ვთხოვთ იმ აგენტებს, ვისაც გაეგზავნა საკვიტანციო წიგნაკები და ანგარიში ჯერ არ გაუსწორებია, გამოგზავნონ ფულიც და წიგნაკებიც.

ფული და წერილები შეიძლება გამოიგზავნოს „დროების" კანტორაში.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.** (5—3)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და პაიშვ. ყ.- დ. ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**მუსხელიშვილი გ ს.** თვალის, ორშ., ... პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—153)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—316)

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის

განცხადების მომკრეფი აგენტი

**მ. ა. გაჩონია**

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით: (6—3) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—45)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—16)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—44

**ექიმი შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—69)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—103

**ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—27)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—159)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—409)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულგარის პირდაპირ. 25—კვ.—19

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**1910 წლის 18 აპრილიდან ტფილისში**

გამოვა ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

გაზეთი

**„მოგზაური"**

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: გ. ახოსპირელი, ბესოშვილი, ნ. ელიავა, ვიქტორი, თაგუნა, თურდოსპირელი, რ. კალაძე, კ. კანდელაკი, ლალიონი, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ნატო, მ. სხვაველი, გ. ქუჩიშვილი, ყარიბი, ს. შაუმიანი, შვარცი, კ. ჯაფარიძე და სხ.

გაზეთის ფასი: წლიურად—5 მან., 6 თვით—3 მან., 1 თვით—50 კაპ., ცალკე ნომერი—10 კაპ.

რედაქციის კანტორა დროებით მოთავსებულია ბ. კილაძის სტამბაში, ველიამინოვის ქ., № 4. (ქალაქის ლომბარდის პირდაპირ).

ყოველგვარი წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія Б. Киладзе, Веляминовская, 4. Соломону Евстафіевичу Телія.

რედაქტორ-გამომცემელი **კ. ფ. მგელაძე.** (3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მიწის და წყლის მილის სამუშაოებზე და აგრეთვე მილების მისატანად რკინის გზის სადგურიდან ამუშაოს ... დანიშნულია ამა აპრილის 22-სთვის, ... 10 საათზე.

ბედ საჭიროა 500 მანეთი.

პირობების გასინჯვა შეიძლება წყლის მილის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 3 საათამდე. (3—ნ—3)

**ივ. გრ. ხალათიანი**

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ **„დროება"-ს კანტორაში:** დიდი ვანქის ქ., № 12. (0—10)

**გამგეობა**

**ყვირილის სამარხ კასისა**

ამით აცნობებს პატივცემულ წევრთ, რომ განმეორებითი წლიური საზოგადო ჩვეულებრივი კრება ყვირილის სამარხ კასისა დანიშნულია 20 აპრილს ამა 1910 წ. ყვირილის სამოქალაქო სასწავლებელში, სანიკიძის სახლში, ნაცვლად პირველი კრებისა, რომელიც არ შესდგა 28 მარტს. (3—ნ.—2)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.


## გაერთიანება მაინც შესაძლებელია

**1.**

ჩემს საპასუხო წერილებში გვერდი აუხვევ ყველა იმას, რაც უმნიშვნელოდ ართულებს და აბნელებს სადავო საგანს და ვეცდები იმ აზრის ხელმეორედ დამტკიცებას, რომ ქართველ დემოკრატიას დღეს გასაყოფი და საჩხუბარი არა აქვს-რა, მიუხედავად იმისა, რომ „ახალი სხივი" და „ჩვენი გაზეთი"*) ბ-ნ გალიორკას პირით შეეცადნენ ჩვენ შორის არსებულ უთანხმოების ხელოვნურად გაღრმავებას და გასავალ ხიდის დაშლას. ჩვენ მართლაც არა გვაქვს იმედი, რომ ფავიყილოლიოთ ბ-ნი გალიორკა და მისი მსგავსი მწერლები. მაგრამ ჩვენს წერილებს ბ-ნ გალიორკის გასაჯავრებლად არა ვსწერდით. სახეში გვყავანდა ქართველი დემოკრატია. მას ვებაასებოდით და ამ ჟამადაც მასთან ვიჭერთ საქმეს, მას მივმართავთ და კიდევ ერთხელ მოვაგონებთ, რომ ყველა დემოკრატიულ ელემენტების გაერთიანება დემოკრატიულ პრინციპების ნიადაგზე შეადგენს ჩვენი დროის მთავარ მოთხოვნილებას. ბ-ნი გალიორკა, რომელიც სოც.-დემოკრატიის პირით ლაპარაკობს, ღირსეულად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. მოურიგებელ ნიადაგზე სდგას და თავის წერილებით კი ახალ მასალას გვაძლევს ჩვენი აზრის უკეთესად ნათელ საყოფად.

ვტოვებ უყურადღებოდ ყველა იმას, რაც ბ-ნ გალიორკას ტემპერამენტის, სტილის და საპოლემიკო შემოქმედების გარნიტურას შეადგენს. მთავარი აზრი, რომელზედაც უნდა იქმნეს მიქცეული დემოკრატიის ყურადღება, ამგვარია. დემოკრატიას მაღლა უნდა ეჭიროს პრინციპი დემოკრატიზმისა, რომელიც შეგვიძლია გამოვსახოთ თუნდ ბ-ნ გალიორკას მიერ წამოყენებულ ფორმულაში—ყველაფერი ხალხისათვის, ხალხისავე საშუალებით ხოლო ამასთან დემოკრატიას კარგად უნდა ... გაითვალისწინებოდა ისტორიული წრე და გარემო, რომელშიაც იგი მოქმედებს. სიდ გათვალისწინებაზეა დამოკიდებული დემოკრატიის პრაქტიკულ მოქმედების გეგმის შემუშავების საქმე. ამგვარად პრინციპიალური და ტაქტიკური მხარე დემოკრატიის მოქმედებისა ერთი მეორესთან გადაბმულია, ერთი მეორისაგან დამოკიდებული. ზოგიერთ ისტორიულ პერიოდებში გამარჯვებულია ანუ გამარჯვების გზაზეა დამდგარი პრინციპი დემოკრატიზმისა. ზოგიერთიასში გარემოება სძლევს მას და იგი სავსებით ვერ ისახება, გარემოებას უწევს ანგარიშს და თითქოს დამარცხებულიცაა. და მართლაც ხდება დამარცხებული, როდესაც დემოკრატიაში ფეხს იდგამს ოპორტიუნიზმის აზრი და როდესაც იგი ოპორტიუნიზმი პრინციპად გამოაქვთ სამოქმედო ასპარეზზე.

მაშ ასე—ყველაფერი ხალხისათვის, ხალხისავე საშუალებით. გამოვიდნენ თუ არა ს.-ფედერალისტები სამოქმედოთ პოლიტიკურ ასპარეზზე, მათ სწორედ ეს პრინციპი აღფრთოვანებდათ და ასულდგმულებდათ. მათ სწადდათ ხალხში თვით-მოქმედების გაღვიძება და ეს თვით-მოქმედება მათს თვალში არა მარტო კულტურულ და სოციალურ საკითხების ნიადაგზე უნდა გავარჯიშებულიყო, არამედ ეროვნულ და პოლიტიკურ ნიადაგზედაც. ს.-ფედერალისტები იმ თავითვე დემოკრატიულ ავტონომიის მომხრენი გამოვიდნენ, რადგან მათის შეხედულებით სწორედ ამ ფარგალში იყო შესაძლებელი ქართველ დემოკრატიის თვით-მოქმედების (კულტურულის, სოციალურის და ეროვნულის) განვითარება.

ს.-დემოკრატებმა, რომელნიც თითქოს იმავ დემოკრატიულ ნიადაგზე იდგნენ, იმ თავითვე შეზღუდეს ქართველ ხალხის დემოკრატიულ გავარჯიშების ასპარეზი. სამოქმედო მოედანი საქართველოდან პეტერბურგში გადაიტანეს და ამ უკიდურესს ცენტრალიზაციის წყალობით თვით პრინციპი დემოკრატიზმისა შელახეს. ბოლოს თვითონაც გაიგეს ეს და იწყეს საქმის გამობრუნება. „ოლქებრივ თვითმართველობის" გადასინჯვა იწყეს. უვარგისად სცნეს იგი და სამაგიეროდ შეჩერდნენ კულტურულ ავტონომიის გეგმაზე. ამ გეგმის აზრით ქართველ ხალხს ეძლევა უფლება დემოკრატიულ თვითმოქმედების მოღვაწეობისა კულტურულ განმანათლებელ დარგში, სოციალ-პოლიტიკურ ფარგალში კი თვითმოქმედების უფლების მინიჭება ქართველ დემოკრატიისათვის კვლავაც უარჰყვეს. სიმართლეს მოკლებული იქნება ის, რომ ვსთქვათ—ს.-დემოკრატიას ს.-პოლიტიკურ სფეროში დემოკრატიული პრინციპები არა სწამდათ. სწამდათ, ძალიან სწამდათ, დამფუძნებელ კრების თავგამოდებული მებრძოლნი იყვნენ, ხოლო ყოველსავე მათს მოქმედებას ცენტრალური ხასიათი ჰქონდა. რუსეთის სრული დემოკრატიზაცია, საყოველთაო არჩევნების უფლება და სხვა. ხოლო საქართველოში კი „ოლქებრივი თვითმმართველობა" და ბოლოს „კულტურული ავტონომია". ამ ფარგალში ქართველი ხალხი სრულუფლებიანი ხდებოდა, სოციალ-პოლიტიკურ სფეროში კი უთანასწორდებოდა მხოლოდ რუსეთის ხალხს. რუსეთის პარლამენტის კანონი ჩვენი კანონიც უნდა ყოფილიყო. კულტურულ სფეროში საკუთარ კანონების უფლება გვეძლეოდა, სოციალ-პოლიტიკურში არა. და ეს გარემოება ყოველთვის, წინადაც და ეხლაც, მიგვაჩნდა დემოკრატიულ პრინციპების ღალატად. ცენტრალისტური წყობილება ჰხუთავს დემოკრატიას, განსაკუთრებით, როდესაც ცენტრალისტური სახელმწიფო სხვა და სხვა ეროვნებით არის დასახლებული. იმ ქვეყნების დემოკრატიზმი, სადაც ცენტრალიზაცია შერყეულია და სახელმწიფოებრივი შენობა აგებული ავტონომიის და ფედერაციის პრინციპზე, იგი ფრთაგაშლილია და მისი თავისუფლება მტკიცედ არის უზრუნველყოფილი. შვეიცარია, შეერთებული შტატები, კანადა და ავსტრალია არ შეედრებიან ამ მხრივ საფრანგეთს, სადაც პროვინციალიზმის აღორძინების შიშით და ცენტრალიზმის გამაგრების წყალობით ხშირად ირღვევა ხოლმე პრინციპი დემოკრატიზმისა და სადაც ამ ბოლო ხანებში თითქოს შეიგნეს ეს და აგერ რამდენიმე დღეა მას აქეთ, რაც მინისტრ-პრეზიდენტმა არისტიდ ბრიანმა აღიარა, საჭიროა საფრანგეთში პროვინციალურ პარლამენტების აღორძინებაო. (იხ „რეჩ" № 91).

ყოველივე ეს მოვიგონეთ იმიტომ, რათა გვეჩვენებინა, რომ ჩვენ იმ თავითვე მტკიცედ ვიცავდით ფორმულას—ყოველივე ხალხისთვის, ხალხისავე საშუალებით. დღესაც, შეცვლილ პოლიტიკურ პირობებშიაც, იმავ აზრისანი ვართ და დღესაც მოწადინებულნი ვართ იმავ საქმეს ვემსახუროთ. მაგრამ დღეს, დამარცხების შემდეგ, ჰკუა ვისწავლეთ, გავიგეთ, რომ ჩვენი დამარცხების თავი და თავი მიზეზი ისევ ჩვენა ვართ. შავი და ბნელი ძალები უღონონი იქნებოდნენ, ჩვენ რომ მომზადებულნი და გათვითცნობიერნი ვყოფილიყავი. ყოველივე ეს გვაკლდა და ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდა, ის წამოსკუპდა დღეს პირველ რიგში. ძალთა განწყობილებაზე იყო დამყარებული წარსული რევოლიუციის საქმე. მომავალიც იმავ ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული. ამიტომ დღეს ჩვენ უთავბოლოდ აღარ ვიძახით „გაუმარჯოს თავისუფლებას" მაშინ, როდესაც ხელში ჯოხების მეტი არა გვიჭირავს-რა და არც გამაგრებულ ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ იერიშის მიტანას ვქადაგებთ. და ამას ჩავდივართ დემოკრატიის ინტერესების გულისათვის, დემოკრატიულ პრინციპის სრულ განადგურების და დემოკრატიულ საქმის საბოლოვოდ დამარხვის შემდეგ. ჩვენი მოქმედების გეგმა ოპორტიუნიზმი არ არის, არამედ შიშით არსებულ პირობების ფარგლებში ძველ და წინ და წინ დასახულ მიზნის განსახორციელებლ დ. და აი ვისაც სერიოზულად უნდა შეთანხმებაზე ლაპარაკი იმ მუშაობაზე, **არსებულ პირობებში მოქმედების გაერთიანებზე** უნდა ილაპარაკოს. ჩვენც სწორედ აქ გადმოვიტანეთ ბაასი. დიდ პრინციპიალურ საკითხებს თავი ავარიდეთ, რათა უფრო ნათელი ყოფილიყო დემოკრატიისთვის, თუ რა ნიადაგზე შეუძლია მას შეთანხმება და რაგვარ

*) „ახ. სხივი" NN 44, 45, 46. „ჩვენი გაზეთი" N 2.

მოქმედებას მოითხოვს მისგან დღევანდელი ისტორიული მომენტი. და სრულიადაც არა მქონდა მიზნად იმ აზრის დამტკიცება, ვითომ სოციალ-დემოკრატებთან, ერთის მხრივ, და ნაციონალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან, მეორეს მხრივ, სოციალისტ-ფედერალისტებს პრინციპიალური საკამათო საგანი არა ჰქონოდეთ რა. ცხოვრებამ დღეს პრინციპი უკან წასწია და წამოაყენა ტაქტიკა, ბრძენ მოქმედების უნარის საჭიროება. ამ სიბრძნეზეა დღეს ლაპარაკი. ეს უნდა გაიგოთ და თუ გაიგებთ დასთანხმდებით, რომ ქართველ დემოკრატიულ ჯგუფების გაერთიანება, **დღევანდელ პირობებში**, შესაძლებელია. მართალია, ბ-ნი გალიორკა გაკვირვებული გვეკითხება, „რა გვაქვს საერთოო"? მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ მის წერილიბში პირუთვნელ კრიტიკას და საგნის გამორკვევისათვის საჭირო სიდინჯეს. ეს სიდინჯე თვით დემოკრატიას უნდა მოეთხოვოს. მან უნდა გადასწყვიტოს საგანი, რადგან მას ეხება იგი. „პროფესიონალურ დამცველის" აზრს ხალხის აზრი გვირჩევნია. მართალია „ჩვენი გაზეთის" პუბლიცისტები იტყვიან, ტყუილად ირჯებით, ჩვენ და ხალხი ერთნი ვართ, ერთი აზრი გვაქვსო, მაგრამ საქმე ის კი არ არის, ეთანხმებათ თუ არა ხალხის უმრავლესობის აზრი—უმრავლეს უმცირესობის საზომი ვერაფერი საზომია სიმართლის ძებნაში, არამედ ის, რომ ხალხი ჭეშმარიტ გზაზე იდგეს და ნათლად ესმოდეს, თუ რა არის კარგი ან ავი იმის კეთილდღეობისათვის. ამ კეთილდღეობის ერთი საფუძველთაგანი სოლიდარობის დამყარებაა იქ, სადაც შესაძლებელია სოლიდარობა. თქვენ ამ სოლიდარობის საქმეს ხელს უშლით. შემდეგ წერილში ვნახავთ, რამდენად მართალნი ხართ და ამ ხასიათის პოლიტიკა რამდენად ხელს უწყობს დემოკრატიის გახრწნილებას.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ძირითად კანონების დარღვევა**

როგორც გუშინ ვწერდით, 7 აპრილის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო იმ შეკითხვის განხილვა, რომელიც შეეხება 24 ავგუსტოს წესების გამოცემას და ამით ძირითად კანონების დარღვევას. ამ სხდომის ბოლო ეხლა გადმოგვცა დეპეშამ. ულაპარაკნია ორ კაცს—მემარჯვენეს ვიაზიგინს და ოქტომბრისტს სავიჩს.

**ვიაზიგინმა.** (მემარჯვენე) მთელი ერთი საათი ილაპარაკა. რასაკვირველია, თავის ამხანაგებივით, ისიც ამტკიცებდა, რომ არავითარი კონსტიტუცია რუსეთში არ არსებობსო. ჩვენს კანონებში არსად სიტყვა „კონსტიტუცია"-კი არ არის ნახსენები და არავის უფლება არა აქვს კონტროლი გაუწიოს ხელმწიფის ბრძანებას ან სურვილს. კანონი ხელმწიფეს ემორჩილება და არა ხელმწიფე კანონს, ხელმწიფე კანონის ზევითა სდგას. ფიცს ვაძლევთ ჩვენ არა ძირითად კანონებს, არამედ რუსეთის თვით-მპყრობელ [illegible] ხელმწიფის თავისუფლებისთვის, რადგან ხელმწიფეა რუსის ხალხის თავისუფლების დამცველი. როცა თვით-მპყრობელი ხელმწიფე თავისუფალი და შეუზღუდველია, მაშინ ხალხიც თავისუფალია. ჩვენ, მემარჯვენენი დამცველნი ვართ თვითმპყრობელობისა და გულწრფელად ვიბრძვით ამისთვის. ხელმწიფემ სათათბირო გვიბოძა და ჩვენ აქ მოვედით მხოლოდ იმიტომ რომ ხელმწიფის სურვილი ავასრულოთ და რუსეთის ალორძინებაში დავეხმაროთ. ჩვენ უარსა ვყოფთ ს.-დემოკრატიულ შეკითხვას და კონსტიტუციონალურ ტიტინს.

**სავიჩმა**, ოქტომბრისტმა, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლებს სჩვევიათ, მეტად ორჭოფული სიტყვა წარმოსთქვა. ჩვენი ფრაქცია, სთქვა ორატორმა, უარსა ჰყოფს შეკითხვას, რადგან, მისის აზრით, სათათბიროს უფლებები არავის შეუზღუდნია. მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კონსტიტუციონურ სახელმწიფოში, სადაც ძირითადი კანონები მოქმედებენ. ჩვენ ხელმწიფესთან ერთად ვმუშაობთ, მაგრამ ამასთან ყოველთვის დარაჯათ უნდა ვიდგეთ ჩვენს უფლებებსაო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატმა მიუფიძმა გარეშე საქმეთა მინისტრის სახელზედ შეკითხვა შეიტანა, თესალიის გლეხკაცობამ ძალით ხელში ჩაიგდო ოსმალეთის ქვეშევრდომების მამული და მთავრობამ რა ზომები მიიღო, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომების უფლებები აღდგენილიყოო. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა: საბერძნეთის მთავრობამ უკვე უზრუნველჰყო ოსმალეთის ქვეშევრდომების უფლებები და თავის თავზედ იდვა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც თესალიის გლეხ-კაცობამ ოსმალეთის ქვეშევრდომებს მიაყენაო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს კალკუტიდან ატყობინებენ: ეშინიათ, რომ ჩოტანაგაპურის ოლქის (ბენგალია) მცხოვრებლებმა აჯანყება არ მოახდინონ. ჩოტანაგაპურის ოლქის მცხოვრებლები უარს ამბობენ ინდოეთის ქვეშევრდომობაზედ. მთავრობამ თავი მოუყარა ჯარს და პოლიციას.

**ბელგრადი.** დიდი წვიმების გამო მდინარეები ნაპირიდან გადმოვიდნენ. ქალაქი კრაგუევაცი და მიდამოები ქალაქ ლაპოვამდე წყალმა წალეკა. დაიღუპა რამდენიმე კაცი. მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. მიიღეს რეზოლიუციები 1909—10 წლების ბიუჯეტების შესახებ. რეზოლიუციების მიღების შემდეგ სამინისტრომ პალატაში შეიტანა ბიუჯეტი.

**ბირმინგამი.** (ალაბამის შტატი). შულგის მაღაროებში აფეთქება მოხდა. ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა 40 კაცი. ამბობენ 25 კაცი მკვდარიო.

**სტამბოლი.** საბიუჯეტო კომისიის მოხსენებით გასავალი უდრის 37,900,000 გირვანქას (გირვანქა 8 ნახევარი მანეთი) შემოსავალი 26 მილიონ გირვანქას. ამ რიგად გასავალი შემოსავალს სჭარბობს 12 მილიონი გირვანქით. განზრახული აქვთ სესხი აიღონ და ისე დაფარონ დეფიციტი.

## აჯანყება ალბანეთში

**ფერიზოვიჩი.** ამ ჟამად ჩრდილოეთ ალბანიაში ჯარის 50 ბატალიონს მოუყარეს თავი, სულ 12,000 კაცს. აქედან 14 ბატალიონი სდგას ფერიზოვიჩში, 13 რკინის გზის სადგურის ახლო, 19 პრიშტინში, 5 პრიზრენში, 6 იპეკში. ქვეითა ჯარის გარდა მთავრობამ გამოგზავნა 12 სამთო ბატარეია, 10 ტყვიის მტყორცნელი რაზმი, ჯავშნიანი ავტომობილი და სატელეგრაფო როტა. ჯარში არც ერთი ქრისტიანი და ალბანელი სალდათი არ არის. სალდათებს თბილი ტანისამოსი აცვიათ და კარგად გამოიყურებიან. კოჩანის გასავალს იცავს 600 კაცი. მთავარი ძალა კოსოვის მინდორზედ სდგას. ლოპის, დრინიცის, გილანის, იპეკის, დიაკოვის კოჩანიცის და სხვა ადგილების ალბანელებში დიდი მოძრაობაა. ნეროდინის ველზედ 6,000 შეიარაღებული ალბანელი სდგას. პეტროვოსა, კაჩეკსა და გიდანცში ალბანელების მოწინავე ჯარი სდგას. ღამე კომპანიკის ახლო გაიარა 800 ალბანელმა, რამაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია ფერიზოვიჩში მდგომ რაზმში. მოდარაჯე სალდათების სიტყვით [illegible] ფერიზოვიჩიდან 8 ვერსის მანძილზე სდგას ალბანელების 9 რაზმი. თითეულ რაზმში 800-1000 ალბანელია. შეიარაღებულ ალბანელების რიცხვი 50,000 კაცს უდრის. ალბანელებმა სერბები დაიმედეს, არ შეგავიწროვებთო, მაგრამ სერბებს ძალიან ეშინიათ.

**სალონიკი.** სერესის ქუჩებში გაკრულია მოწოდება, რომლითაც ოსმალებს იწვევენ მხარი დაუჭირონ ალბანელების მოძრაობას. ექვსით დააპატიმრეს ოსმალეთის გიმნაზიის და ტელეგრაფის დირექტორები. დაპატიმრებულები სალონიკში ჩამოიყვანეს. ორთავენი ალბანელები არიან. დიაკოვში ალბანელებმა მოჰკლეს პოლიციის უფროსი. დიაკოვში გაიგზავნა ორი ბატალიონი და ზარბაზნები. პრიზრენში დაპატიმრებულ 21 მეამბოხის საქმეს სამხედრო სასამართლო გაარჩევს.

## სპარსეთი

**არდებილი.** სოფელ კარაჩინახის ახლო შეტაკება მოუვიდათ მთავრობის ჯარს და შაჰსევანებს. შაჰსევანებს მოუკლეს 20 კაცი. ამ უკანასკნელებმა უკან დაიხიეს.

**თეირანი.** სამინისტროს კრიზისი გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ნაციონალისტები ებრძვიან ზომიერებს, რომლებიც საჭიროდ სთვლიან, რომ სამინისტროში დარჩნენ სეპეხდარი და სერდარ ასადი. ზომიერების აზრით მხოლოდ სეპეხდარს და სერდარ ასადს შეუძლიანთ ინგლისთან და რუსეთთან კარგი განწყობილება დაიცვან. ნაციონალისტებს პრემიერ-მინისტრად უნდათ სანიუდ-დოულე, რომელიც გერმანოფილად ითვლება, ზომიერები კი თხოულობენ სამინისტროდან სანიულ-დოულეს გაძევებას. სათარ-ხანი წინანდელ სამინისტროს იცავს. ინგლისის ელჩი ბარკლენი რამდენიმე ხნით დასასვენებლად წავიდა. სეპეხდარმა და სერდარ ასადმა მეჯლისში ყორანზედ დაიფიცეს, უარს ვამბობთ ჩვენ თანამდებობაზედო. ნაციონალისტები დღესასწაულობენ.

**თეირანი.** გენერალმა რეეუსკიმ დაათვალიერა ყაზვინის რაზმი და შემდეგ თეირანში წავიდა.

სამინისტროს კრიზისი არ დამთავრებულა. სამხრეთ სპარსეთში არეულობაა მოსალოდნელი. კაშკაილები, ლურები და შეიხ გაზალი [illegible] ბახტიარების წინააღმდეგ. შირაზის გუბერნატორი ყოყმანობს მიატოვოს ისპაჰანი თუ არა. ისპაჰანის გუბერნატორმა გარიბ-ხანის ორი მომხრე საკირეში დასწვა.

**თავრიზი.** ვაჭრობა დაცემულია, რადგან პროვინციიდან ძალიან ნაკლებად მოდიან მყიდველები. ეს იმით აიხსნება, რომ პროვინციაში ძალიან იაფად ჰყიდიან რუსეთის საქონელს, რომელიც არდებილის არეულობის დროს შაჰსევანებმა დაიტაცეს. ამას გარდა ურმიაში რუსეთიდან საქონელი აღარ შემოაქვთ, რაიც იმით აიხსნება, რომ ოსმალები ყველა საქონლისს ღირებულების 11 პროცენტს იღებენ, როგორც სადამოჟნო გადასახადსაო. შინაურ სესხზედ აღარაფერს ლაპარაკობენ. მარილზედ ახლად დაწერილი დაწესებული გადასახადი თანდათან ცხოვრებაში გაჰყავთ. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს მარილზედ დაწესებულ ახალ გადასახადის წინააღმდეგ. ხალხი დაწუხარდა.

## ჰაერში ფრენა

**შარლვილლი.** 4 მგზავრით გაფრინდა ავიატორი ზომერი. ზომერმა ხუთი წუთი იფრინა.

**ოდესსა.** აეროკლუბის თაოსნობით ოდესაში გაიმართება ჰაეროპლანების გაჯიბრება. პრიზებისთვის დანიშნულია 50,000 მანეთი. გაჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ლატამი, რუჟიე, ეფიმოვი და სხვები.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** შეცდომის გასწორება: „ოსვედომიტელნოე ბიუროს" სიტყვით კონფისკაცია არ უყვიათ „ნოვოე ვრემიას" ნომრისათვის. მხოლოდ სამართალში მიუციათ გაზეთის რედაქტორი.

**სარატოვი.** ბალაშოვის მაზრაში დააპატიმრეს ყაჩაღთა ბრბო. ბრალდებათ 1903 წელს [illegible] სოფლის სამართველოზედ თავდასხმა, 350 მანეთის, [illegible] ბლანკების და ბეჭდის გატაცება. ბრბო [illegible] რევოლიუციონერების სახელით მოქმედებდა. ბრბოში სხვა და სხვა სოფლების გლეხები შედიან.

ნიჟნეტაგილის ქარხნების გამგეობა ჰკეტავს ვერხნესალდინის ქარხანას, რადგან გლეხებმა მოითხოვეს სისრულეში მოეყვანათ სენატის გადაწყვეტილება, რომლითაც ქარხანას უნდა გაეუქმებინა ქარხნის რკინის გზის შტო, რომელიც სოფლის გზებზედ არის გაყვანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხები თხოულობენ სკოლის ასაგებად 8000 მანეთს და სახლების დაზღვევას.

**პეტერბურგი.** დილით ჩამოინგრა ექვს სართულიანი სახლი. ნანგრევებიდან ამოიყვანეს ორი მუშა, ერთი დაშავებული. არ იციან რა მოუვიდა 8 მუშას.

**ოდესა.** სპეპოვის ქუჩაზე სამი შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა მექარხნე გენსლერს. დარაჯმა ბოროტ-განმზრახველებს ორჯერ ესროლა. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს დარაჯი. მეორე დარაჯმა მოჰკლა 1, დასჭრა მეორე ბოროტგანმზრახველი, მესამე გაიქცა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საკანონმდებლო დაწესებულებებში შეიტანენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს, რომლითაც პოლონეთის ქალაქების თვითმმართველობა 1882 წლის დებულების თანახმად უნდა გადაკეთდეს.

**მოსკოვი.** მიძინების ტაძარში უცნობებმა გაძარცვეს ვლადიმირის წმ. ღვთის მშობლის ხატი. ხატის სამოსელის ძვირფასი ქვები სულ ერთიანად წაუღიათ. წაღებულ ძვირფას ქვებს, რამდენიმე ასი ათას მანეთად აფასებენ. ჰფიქრობენ, რომ ქურდი ტაძარში ღამე შეიპარა, გაძარცვა ხატი, დილით ფანჯარა გააღო, გადავიდა მართულებზე და გაიპარა.

**კრასნოიარსკი.** სოფელ რიბანსკში ცეცხლმა გაანადგურა საუკე-

# ახალი მიმართულება სახელმწიფო უფლების მეცნიერებაში

სახელმწიფო უფლება ძლიერ რთული მეცნიერებაა, მისი შემადგენელი ნაწილები მრავალფეროვანია. თანამედროვე მეცნიერებამ საკმაოდ შეიმუშავა და განმარტა ამ მეცნიერების შინაარსი, მოძღვრება და მცნებანი. მაგრამ რაც წინ მიდის მეცნიერების კვლევა-ძიება, მით უფრო საჭირო ხდება ძველად შეძენილ განძის გადათვალიერება და მეცნიერების მოთხოვნილებისათანავე გადაკეთება და ახლად დამუშავება ძველ მცნებისა. ჩვენ მოწამენი ვართ ამ ჟამად მეტად საყურადღებო მოვლენისა. სახელმწიფო უფლების მცნებანი, სახელმწიფო უფლების კვლევა-ძიების საშუალებანი ვერ ასცდნენ საერთო ბედ-იღბალს. ხელთა გვაქვს რამდენიმე შრომა, რომელთა მიზანიც ის არის, რომ ახალი შუქი შეიტანონ ამ ძველ მეცნიერებაში. არ შევეხები აქ სხვა და სხვა ახალ შრომას. მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ფრანგ მეცნიერის, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის ლ. დიუგის შესანიშნავ შრომებს სახელმწიფო უფლების შესახებ. აი, დასახელებულ ავტორის შრომები: „L'état, le droit objectifet le loi positive", 1901 წ.; „l'état, le gouvernants el les agents", 1903 წ. დიუგის აზრების გაცნობა შეიძლება მისი ორი წიგნიდანაც, რომელიც უკვე გადათარგმნილია რუსულად: „Конституціонное право. Общая теорія государства", съ пред. проф. П. Новгородцева; „Соціальное право, индивидуальное право и преобразованіе государства. (სამი ლექცია), съ пред. проф. А. Алексѣева.

სახელმწიფო უფლების საუკეთესო წარმომადგენელად ითვლება დღეს გერმანიაში გ. იელლინეკი (იმისი შესანიშნავი წიგნი „Das Recht des modernen Staates" გამოვიდა 1900 წ.) და საფრანგეთში ესმენი (Droi Constitutionel). დიუგი თავის ნაწერებით თავიდან ბოლომდის ეწინააღმდეგება როგორც იელლინეკის, ისე ესმენის მოძღვრებას და საერთოდ, მიღებულ მცნებებს სახელმწიფო უფლებაში, და წარმოსთქვამს ახალ აზრებს.

კრიტიკამ უკვე აღნიშნა, რომ პროფ. დიუგის წიგნები ღრმა აზრებს შეიცავენ. ახალი აზრები დასაბუთებულია ისე მომხიბლავად, რომ აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ლ. დიუგი 25 წლის განმავლობაში პროფესორობს და ემსახურება მეცნიერებას და თავისი ახალი მოძღვრება გამოსთქვა მან სამეცნიერო სარბიელის თითქმის დასასრულს.

საზოგადოებაო,—ამბობს ლ. დიუგი,—იგივე წეს-წყობილებაა. ადამიანი საზოგადო პირუტყვია, ადამიანს არ შეუძლიან საზოგადოების გარეშე ცხოვრება, მაშასადამე, იგი უნდა დაემორჩილოს წეს-წყობილებას, ე. ი. საზოგადოებას. საზოგადოება უფრო ძველი დაწესებულებაა, ვიდრე უფლება, ე. ი. ჯერ საზოგადოება გაჩნდა და მერე უფლება. ამნაირად უფლება ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, უფლების გამომხატველი მუხლები, ნორმები, აწესრიგებენ მას, რაც უკვე არსებობს საზოგადოებაში. საზოგადოების თვითეული წევრი ემორჩილება უფლების მუხლებს; ამისი მიზეზი კი ის არის, რომ საზოგადოებაში არსებობს შეგნება საერთო დამოკიდებულებისა, საერთო ხელშეკრულებისა, ანუ საზოგადო სოლიდარიზმი. უფლების მუხლები, რომელნიც აწესრიგებენ საზოგადოების წევრების მოქმედებას, ყოფა-ცხოვრებას, ეხებიან არა ზნეობრივ მხარეს ჩვენის საქციელისას, არამედ აღნიშნავენ ფაქტს, ე. ი. იმას, რაც არსებობს. უფლების გამომხატველი მუხლები ანუ ნორმები—იდეალი კი არ არის, არამედ ფაქტია, არსებულებაა. ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სახე იცვლება, იცვლება და ვითარდება უფლებაც, როგორც ფაქტი.

უფლების მუხლები ანუ, როგორც დიუგი ამბობს, სოციალური ნორმა თვითეულ პიროვნებისათვის ჰქმნის თავისებურ მდგომარეობას, რომელიც არსებობს არა განყენებულად, არამედ დამოკიდებულია საზოგადოების დანარჩენ პიროვნებათა მდგომარეობაზე, და უფლება მაიძულებს მე, როგორც საზოგადოების წევრს, იმნაირად მოვიქცე, რომ სხვისი კეთილდღეობა არ შევლახო. თუ ეს ასეა, მაშ არავის, კერძო პირი იქნება იგი თუ კოლლექტივი (პიროვნებათა გროვა), არ შეუძლიან მიითვისოს უფლება, რომელიც მხოლოდ მისი კუთვნილებაა, რომლის შემწეობითაც ასეთი პიროვნება ეცდება დაუპირდაპიროს და წინ დაუყენოს თავისი, ე. ი. სუბიექტიური, უფლება სხვას. დიუგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ არ არსებობს სუბიექტიური უფლება, ე. ი., უფლება როგორც კერძო პირის ან პირების გროვის კუთვნილება. არსებობს მხოლოდ ყველასათვის სავალდებულო საზოგადო მდგომარეობა, რომელიც ჰქმნის ობიექტიურ უფლებას, რომელიც შედეგია არა იმისა, რომ ვისმე ეკუთვნის უფლება, არამედ შედეგია საზოგადო წეს-წყობილებისა. სახელმწიფო უფლების მეცნიერება კი დღემდე ამტკიცებდა, რომ სუბიექტიური უფლება არსებობს და ამ ცნებაზე აფუძნებდა თავის მოძღვრებას. დიუგი სცდილობს დაარღვიოს ეს მცნება.

სახელმწიფო უფლების მეცნიერება დიუგის აზრით აღნიშნავს ჯერ ერთი „imperium"-ს, ე. ი. ხელმწიფებას, როდესაც ეს უფლება ეკუთვნის ერთ პირს, ანუ რამდენიმეს. ხელმწიფება ისეთ სუბიექტიური უფლებაა, რომლის გაყოფა არ შეიძლება, იგი არსებობს თავის თავად, დამოუკიდებლად. უმთავრესი მისი ნიშანია ბრძანება და მისწრაფება თავის ნებას დაუმორჩილოს სხვისი ნება, საშუალო საუკუნოებში და შემდეგაც სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ხელმწიფება, განუყოფელი ბძანებიდან, ბატონობიდან, უზენაესი დაწესებულებაა. შემდეგ, რევოლიუციის დროს კი დამყარდა ის აზრი, რომ სუვერენიტეტი, ეს უმაღლესი ხელმწიფება, ეკუთვნის ხალხს, მხოლოდ ამ უფლებას უკანასკნელი გადასცემს იმას, ვისაც სურს. ხელმწიფება, რომელიც ვითომ სახელმწიფოს კუთვნილებაა, ფუჭი მოგონებაა. თავის დროზე ასეთ ყალბ აზრს მნიშვნელობა ჰქონდა, ეხლა კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. Imperium-ს მეცნიერები უწოდებენ ხელმწიფებას, ე. ი. ჰგონიათო,—ამბობს დიუგი,—რომ სახელმწიფოს რაღაც დამოუკიდებელ განყენებულ ბრძანების უფლება აქვსო.

სახელმწიფო უფლება, როგორც მეცნიერება, აღნიშნავს მეორე ხარისხს უფლებას dominium-ს ანუ საკუთრებას. Dominium-ი ისეთი უფლებაა, რომელიც ეკუთვნის ინდივიდს, კერძო პიროვნებას ან რამდენიმეს მათგანს. ეს უფლება კი ნიშნავს იმას, რომ ინდივიდს ეკუთვნის სიმდიდრე, მამული. ამ სიმდიდრით სარგებლობა, გადაცემა, დაგირავება წარმოადგენს ინდივიდის, პიროვნების უფლებას, ე. ი. ინდივიდს უფლება აქვს ისე მოექცეს თავის კუთვნილებას, როგორცა სურს, ამასთან იგი მოითხოვს გარეშე მყოფ ინდივიდუუმებისაგან მისი კუთვნილებისადმი პატივისცემას. Dominium სუბიექტიური უფლებაა, ეს უფლება დამოუკიდებელია, განთვისებული.

დიუგი უკუ აგდებს სახელმწიფო უფლების მეცნიერებაში მიღებულ აზრს სუბიექტიურ უფლების შესახებ და ამის მაგიერ ამტკიცებს შემდეგს: პოლიტიკური წეს-წყობილება აგებულია ობიექტიურ უფლებაზე ანუ სოციალურ ნორმაზე. ობიექტიური უფლება ანუ სოციალური ნორმა დაფუძნებულია საზოგადოებრივ კავშირზე, საზოგადოებრივ ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე. ეს საზოგადოებრივი დამოკიდებულება აკავშირებს ერთისა და იმავე ჯგუფის, საზოგადოების წევრებს, ერის, კაცობრიობის შემადგენელ ნაწილებს. საზოგადოებრივი ურთიერთ შორის დამოკიდებულება, ხელშეკრულება—ფაქტია, ხელ-შეკრულობის შედეგი-კი—ყველასათვის, როგორც მმართველთათვის, ისე ქვეშევრდომთათვის საკალდებულო მუხლები ან მიწერილობანი, რომელიც გამოიხატება კანონში.

ამასთან პოლიტიკური წეს-წყობილება დამყარებულია დეცენტრალიზაციაზე ანუ სინდიკალურ ფედერალიზმზე. დასახელებული ფედერალიზმი კი იმას ნიშნავს, რომ კლასები, სხვა და სხვა გვარისა, შეადგენენ სინდიკატებს. სახელმწიფოს ბატონობა, მისი ხელმწიფება არის ფაქტი და არა უფლება. სახელმწიფოს ბატონობა არის შედეგი მისი ძალისა, ეს ხელმწიფება ძალით აქვს დაჩემებული სახელმწიფოს და, რა თქმა უნდა, ასეთი წეს-წყობილება კანონიერი არ არის. სახელმწიფოს ბატონობაში, იმის გამგეობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ყველანი. კლასობრივი ბატონობა უნდა გაჰქრეს და მასთან ერთად უნდა გაქარწყლდეს პროლეტარიატის ბატონობაც. დიუგის

თესო სახლები. ზარალი 100,000 მანეთს უდრის.

**მოსკოვი** გამოირკვა, რომ ვლადიმერის წმ. ღვთისმშობლის სამოსლის ძვირფასი ქვები ერთ მილიონ მანეთამდე ღირებულან. წაუღიათ ხატის გვირგვინი და მძივი. სამოსელი ღირდა 200,000 მანეთი. გვირგვინში ჩასმული იყო დიდი ზურმუხტი. ქურდებს გაუცარცვავთ ვლადიმერის წმ. ღვთისმშობლის ხატის ასლი და სამი სხვა ხატიც. ჰფიქრობენ, რომ ქურდი ფანჯრიდან კი არ გავიდა, არამედ ბუხრიდან.

**კიევი.** საგუბერნიო მართველობის ბრძანებით დაიკეტა უკრაინელთა საზოგადოება პროსვიტა. ბრალდებათ კანონის აუსრულებლობა.

**ნოვოჩერკასკი.** სამოსამართლო პალატა შეუდგა დონის როსტოვის სადგურის 22 მოსამსახურის საქმის გარჩევას. ბრალდებათ 1905 წელს რკინის გზის გაფიცვაში მონაწილეობის მიღება.

**ვილნოში.** აგრენევა-სლავიანსკაიას კონცერტების გამართველი რომელიც თავის თავს ნაუმოვს უწოდებს, ვილნოში გამართულ პირველ კონცერტის შემდეგვე გაიქცა. მან თან წაიღო 500 მანეთი. გაქცევის მიზეზი ის არის, რომ ნაუმოვს კონცერტების გამართვის დროს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდა. ნაუმოვმა თან წაიღო გუნდში მომღერალ ლოდეევის პასპორტი.

**პეტერბურგი.** დანგრეულ ექვს სართულიან სახლის ნანგრევებიდან იპოვეს ხუთი კაცის გვამი. ერთი მუშა ცოცხალი აღმოჩნდა.

**ჩელიაბინსკი.** ოლქის სასამართლო შეუდგა 49 კაცის საქმის გარჩევას. ბრალდებათ 1905 წელს ებრაელების აწიოკება. მოწმედ გაწვეულია 111 კაცი.

**მოსკოვი.** მიძინების ტაძარში უცნობებს ვლადიმერის წმ. ღვთისმშობლის ხატის და მისი ასლის გარდა, ღვთისმშობლის მიძინების და ხარების ხატები წაუღიათ. ამას გარდა ქურდებს მაცხოვრის ხატიდან ამოუღიათ ბრილიანტი. სულ წაუღიათ 642 ქვა. უცნობებს ხელი არ უხლიათ ხელოვნურ ქვებისთვის.

# მადლიანი მღვდელ-მთავარი

(მოგონება)

I

დიდი ხანია მას აქეთ, იმ დროს ექვსი შვიდი წლისა ვიქნებოდი. დღესაც გონებიდან არა მშორდება გაბრიელ ეპისკოპოსის მადლიანი სახე. მისი შემბრალე სიტყვები მუდამ ყურში ჩამჩურჩულებენ.

მას შემდეგ ორმოცი წელიწადი იქნება, რაც ჩვენი სოფლის შტატის ეკკლესიას აშენებდნენ. ამშენებელი კომიტეტი ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, „მოკანტრახტეეში“ მეტად შეუბრალებელნი გამოდგნენ. არავის არ ინდობდნენ. ვისაც მუშაობა ან ფულის გადახდა არ შეეძლო, ხარს უყიდდნენ. კარგად მახსოვს, სანამ სოფელში (სამი სოფელი ერთი შტატი უნდა გამხდარიყო) ჩვენზე ღარიბი არავინ იყო. შვიდი წლის სნეული მამა ლოგინად იყო ჩავარდნილი, რვა სული წვრილ-შვილი მხოლოდ დედის სარჩენი ვიყავით. ჩვენი ერთად-ერთი იმედი და მარჩენალი იყო გიშერა ხარი, რომელსაც დედა-ჩემი ისე უვლიდა, როგორც თვალის ჩინს. გიშერასთან ერთად ბევრი წვა-დაგვა გამოუცდია დედა ჩემს, მეზობლიდან მეზობლებთან დადიოდა ცალი ხარის საშოვნელად დედა ჩემი ხვნით ვერა ხნავდა, თორემ ვაჟკაცის სხვა საქმე არა დარჩენიარა გაუკეთებელი, გიშერას შემწეობით.

მაგრამ მოულოდნელად უკუღმა შეტრიალდა ჩვენი ბედის ჩარხი და ეკკლესიის ასაშენებელ ფულში კალოში შებმული ხარი გამოუშვეს. როდესაც ოთხი „მოკანტრახტე“ ხარს შემოეხვია, ჩვენ წივილ-კივილი ავტეხეთ. გამწარებულმა დედა-ჩემმა ხარს რქებში სტაცა ხელი და არ ანებებდა. მაგრამ ერთის „მოკანტრახტის“ მათრახმა მწარედ გაიზუზუნა დედიჩემის ზურგზე... ამ სურათს სნეული მამა ჩემი იქვე ფარდულიდან უყურებდა, მაგრამ ადგომა არ შეეძლო. „მოკანტრახტეებზე“ არ გასჭრა არც ჩვენმა ტირილმა და არც დედი ჩემის ხვეწნა-მუდარამ. გიშერა წაიყვანეს და იმ დღეს კალო გაულეწავი დაგვრჩა.

II

ჩვენი ეკლესია უკვე მზად იყო. სოფელში ხმა გავარდა: მღვდელ-მთავარი მობრძანდებაო. იმ დროს მღვდელ-მთავრის სადმე მისვლა მთელი დღესასწაული იყო. გაბრიელ ეპისკოპოსს ყველგან სახელი ჰქონდა გავარდნილი. რაჭაში რამდენიმე ეკლესია უნდა ეკურთხებინა და პირველად სხვა სოფელში მოუხდა წასვლა. ეს რომ გაიგო მამაჩემმა, ბავშვივით აიჩემა იქ წასვლა. ვინათხოვრეთ მეზობლის ხარ-ურემი, ჩავსვით ხვირში და შეუდექით გზას. როდესაც სოფელში მივედით წირვა უკვე გაეთავებინა მოძღვარს და ეკლესიის გალავანში, მაღლობზე შემდგარი, უქადაგებდა ხალხს. ჩვენც მოხერხებულს ადგილზე გავჩერდით. მღვდელ-მთავარმა მაშინვე შეგვამჩნია, ურმით რომ მივედით. როგორც-კი ქადაგებას მორჩა, ჩვენსკენ გამოეშურა. როცა მოგვიახლოვდა მამაჩემს ტირილი აუვარდა. მღვდელ-მთავარი დაღონდა, მაგრამ როდესაც გაიგო ჩვენი და გიშერას თავგადასავალი, განრისხდა და წამოიძახა: „ავაზაკები, ავაზაკები“-ო. იქვე წერილი მისწერა ეკლესიის ამშენებელ კომიტეტს სწერდა, რომ გიშერა ჩვენთვისვე დაებრუნებიათ. შეუთვალა აგრეთვე ჩვენი სოფლის მღვდელს: „ცოდვით აშენებულ ეკლესიას მე აღარ ვაკურთხებ და ნურღარ მელითო“. შემდეგ მოგვიბრუნდა და გვანუგეშა: „ნუ სტირით, თქვენი ხარი ისევე დაგიბრუნდებათ, მანამდე კი აი ეს შენაო“ და ჩუმად ჩაუდო ხელში მამას რაღაცა და წაბძანდა. რადგან იმედი მოგვეცა გიშერას დაბრუნებისა, ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. გვიხაროდა ისიც, რომ გაბრიელის მიერ მოცემული ოცდა-ხუთი მანეთი ბევრ რამეში წაგვადგებოდა.

III.

მაისის დილა იყო. მოკაშკაშებული ლურჯი ცა სიხარულით დაჰყურებდა მრავალ ფერად ამწვანებულ დედა-მიწას, ახლად ამოხეთქილ სიმინდის ფოთლებზე ალმასებრ ბრჭყვიალებდა. არა ჩვეულებრივი მოძრაობა და ფაცი-ფუცი იყო ჩვენ სოფელში. დიდი და პატარა ახლად აშენებულ ეკლესიისაკენ მიეშურებოდა. სხვების ფაციფუცს ჩვენც არ ჩამოვრჩით და დედა-ბუდობიანად ეკლესიისაკენ გავეშურეთ. გვინდოდა კიდევ დაგვენახა ჩვენი მფარველი მღვდელ-მთავარი. ამ დღეს უნდა ეკურთხებინა ჩვენი შტატის ეკლესია. ბევრი ხვეწნის შემდეგ დასთანხმდა კურთხევას.

ეკლესიის კურთხევა გათავდა. ადგილობრივმა ბლაღოჩინმა ხალხს გამოუცხადა: „მოიყვანეთ ბავშვები, ვინც იცის ათი მცნება და ლოცვები, იმათ ჯვრებს დაურიგებს მათი მეუფებაო“. დაიწყო ჩოჩქოლი. რამდენსამე წუთში უკვე მზად იყო სალდათებივით ჩამწკრივებული ორმოცამდის ყმაწვილი. ამათ რიცხვში ვიყავი მეც, ჩემი დაკონკილი ტანისამოსით. მღვდელ-მთავარი მოგვიახლოვდა, გადაგვსახა ჯვარი და გვაკურთხა. შემდეგ დაიწყო გამოცდა ბავშვებისა. ვინც ათი მცნება, ლოცვები და პირჯვრის წერა იცოდა, იმას ჯვარი ეძლეოდა. მე იმედიანად ვიყავი, რადგან ლოცვები ზეპირად ვიცოდი.

პირველ რიგში თავად-აზნაურთა ბავშვები იდგნენ. მე სულ ბოლოდან შევყურებდი. ვხედავდი, რაცა ხდებოდა წინა რიგში. ზოგს პირჯვარს უწუნებდა ზოგსაც ლოცვებს უსწორებდა. ჯერი მოდგა ჩემზე.

— ლოცვები იცი, შვილო?

— ვიცი! მიუგე და ჩვეულებრივად ჩავარაკრაკე „ათი მცნება“, „მამაო ჩვენო“ და „მრწამსიც“ ზედ მივაყოლე.

მღვდელ-მთავარმა თავზე ხელი გადამისვა და მითხრა.

ყოჩაღ, კარგათა გცოდნია!—ამ სიტყვებთან გადმომცა ჯვარი წითელი ლენტით და მკითხა:—ვისი შვილი ხარ?

რაკი მოახსენეს ვისი შვილიც ვიყავი, რაღაცა მოაგონდა, ღიმილით შემომხედა და მითხრა: — გიშერა რავა გყავს?

ამ დროს მამა ჩემიც მობობღდა და მოწიწებით თავი დაუკრა. მღვდელმთავარმა დაგვიბარა ეკლესიის მახლობლად იქ, სადაც ჩამომხტარი იყო. ჩვენც მივედით. სადილი მიერთმია და აივანზე დასეირნობდა. რავარც კი დაგვინახა მოგვაძახა: „მოდით ბეჩა ნუ მეკრძალებით“-ო. აივანზე დავსხედით. მისი ბრძანებით სადილი მოგვიტანეს. ვინემდინ სადილს გავათავებდით, კრიალოსნით ხელში იქვე დასეირნობდა. ბოლოს მოგვიახლოვდა და უთხრა მამა ჩემს „მე იმისთვის დაგიბარე, დაგეხმარო რასმე. აგრეთვე ჩემი სურვილია ეს ბოვშვი გამომიგზავნო ქუთაისში შემოდგომაზე, მე მინდა ჩემს სკოლაში გამოვზარდო. მანამდის აი გროში, ჰადი უყიდე ბალნებს“ ამასთან თვალით ანიშნა მსახურს და იმანაც რაღაცა გამოკრული გადმომცა მე. მადლობა გადაუხადეთ და წავედით სახლში გახარებულნი. მღვდელ მთავრის ნაჩუქარი აღმოჩნდა ორი წყვილი საცვალი და სამი თუმანი ფული. მთელი სიმდიდრე იყო ჩვენთვის ეს იმ დროს. გავიგეთ ისიც, რომ გიშერას გამოსახსნელი ოცდა თხუთმეტი მანეთი მღვდელ-მთავარს გადაეხადნა...

ასეთი მადლით მოსილი ადამიანი იყო განსვენებული.

დადგა შემოდგომა. მაგრამ მამი ჩემის სიცოცხლის ძაფი სწყდებოდა. მოკვდა მამა ჩემი და მეც ქუთაისის ნაცვლად ტფილისში მიკრეს თავი, სადაც წელიწადში რვა შანათად დამაყაყენეს ერთ ვაჭრის სახლში. ასე შეიცვალა ჩემი სწავლის მოლოდინი...

ვ. რაჭველი.

---

ვერ წარმოუდგენია, თუ რა პირობების ძალით უნდა მიესაკუთროს პროლეტარიატს სახელმწიფო ბატონობა, რა პირობების ძალით უნდა მიეცეს მას უპირატესობა. დღევანდელი წეს-წყობილება დამყარებულია უმრავლესობის ნებაზე, ეს კი უნდა მოისპოს, ვინაიდან კანონი არ არის საზოგადო, საერთო ნების გამომხატველი, არც სახელმწიფოს სურვილის გამომხატველი. საზოგადო ნება, სახელმწიფო ნება ზღაპარია, ასეთი რამ არ არსებობს. კანონი ეხლანდელ პირობებში გამომხატველია მხოლოდ იმათ სურვილებისა, ვისი ხმის უმეტესობითაც გავიდა სახელმწიფო დაწესებულებებში. კანონი ორ გვარია: 1. კანონი, რომელიც გამოსახავს უფლების მუხლს (ნორმატიული) და 2. კანონი, რომელიც მიიღებს ზომებს რათა აღსრულებულ იქნას უფლების ნორმები (კონსტრუქტიული). კანონს ემორჩილებიან როგორც კერძო პირნი, ისე პარლამენტი. უფლების ნორმები ბრძანება კი არ არის, არამედ ისეთი დისციპლინაა, რომელიც სავალდებულოა ყველასათვის, ვინაიდან საზოგადოების წევრები ურთიერთ-შორის დაკავშირებულნი არიან (სოლიდარიზმი). სახელმწიფო მმართველნი ისეთივე პირები არიან, როგორნიც არიან საზოგადოების დანარჩენნი წევრნი. შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ მმართველნი არიან ორგანოები რაღაც მრავალ-სახიან პიროვნებისა (კოლლექტივისა). მაშასადამე, მმართველნიც იძულებულნი არიან დაემორჩილნენ უფლების ნორმებს და თავიანთ თანამდებობის მიხედვით ისარგებლონ იმ დიდ ძალით, რომელიც მათ ხელთა აქვთ საზოგადოების სასარგებლოდ. მმართველებს დიდი ძალა აქვთ ხელში. ეს ძალა შედეგია მონოპოლიისა. მმართველობა საერთოდ დაფუძნებულია ძალაზე, რომელიც სხვა და სხვა პირობის მიხედვით ხელთ უჭირავთ სხვა და სხვა მართველთ.

თანამედროვე ვითარება, განაგრძობს დიუგი, იმედს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ საზოგადოების ცხოვრება ახალ გზაზე სდგას. ახალი საზოგადოებრივი მოვლენა იმაში გამოიხატება, რომ თანდათან იზრდება დეცენტრალიზაცია ანუ სინდიკალური ფედერალიზმი. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს სინდიკალიზმი? დიუგი ამტკიცებს, რომ საზოგადოებაში თანდათან ჩნდებიან ჯგუფები, მძლავრად შეკავშირებულნი; ჯგუფების შემადგენელი პირები დაკავშირებულნი არიან იმითი, რომ მათ საერთო საზოგადოებრივი სამუშაო აქვთ და განმჭვალულნი არიან საერთო პროფესიონალურის ინტერესებით. მაშასადამე, მომავალი საზოგადოებრივი წესწყობილება შემდეგი სახისა იქნება: საზოგადო კლასები, სხვა და სხვა გვარისა, დაკავშირებულნი და ხელშეკრულნი იქნებიან პროფესიონალურის ინტერესებით; ასეთი კლასები შეადგენენ სინდიკატებს ცალცალკე, ერთად კი საზოგადოება წარმოადგენს სინდიკატების ფედერაციას. მაშასადამე, პოლიტიკური წესწყობილებაც იცვლის ელფერს. მომავალ სახელმწიფო პალატებში დეპუტატებად იქნებიან სინდიკატების პროფესიონალური წარმომადგენელნი.

ასეთი აზრები გამოსთქვა დიუგმა თავის შრომებში. რასაკვირველია, მე აღვნიშნე მხოლოდ უმთავრესი მუხლები ახალ მოძღვრებისა. მგონი ნათქვამიც საკმაოდ ახასიათებს დასახელებულ მწერალს.

დიუგის ნაწერებმა დიდი კრიტიკული ლიტერატურა გამოიწვიეს. დიუგის აზრებს შეეხნენ ბარტელემი, ესმენი, პროფ. ნოვგოროდცევი, პროფ. ალექსეევი და სხვანი. დასახელებულმა მეცნიერებმა უპირველეს ყოვლისა განაცხადეს, რომ დიუგის მოძღვრება ახალი არ არისო, რომ იგი აღორძინებული ძველი, ეგრედ წოდებული „ბუნებითი უფლება“-აო, თანახმად თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებისა. ზოგი იმას ამტკიცებს, რომ დიუგის აზრები უკვე გამოთქმული იყო მეთორმეტე ს. დასაწყისში საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწის და მეცნიერის როიე-კოლარის მიერაო. სცდილობენ დაამტკიცონ, რომ მართალია დიუგი არღვევს, ანგრევს ძველ შენობას—სახელმწიფო უფლების მეცნიერებას, იმას, რასაც ყველა მიეჩვია, მაგრამ სამაგიეროდ იძლევა ისეთ ბუნდოვან ახალს, რომ ისევ ძველი, მაგრამ გამოცდილი, სჯობიაო. ბევრი კიდევ სხვა აზრი გამოითქვა.

ვრცელი კრიტიკული ლიტერატურა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ დიუგის მოძღვრება ყურადღების ღირსია და რომ იგი სახელმწიფო უფლების მეცნიერების განვითარებაში ერთ უპირველეს ადგილს დაიჭერს.

სიმ. ბჭალიანი.

ოდესსა.

---

„დროების“ ხვალინდელ სურათებიანი დამატების შინაარსი: „მსხვერპლი“,—დრამა 3 მოქმ. ი. გედევანიშვილისა, სურათები: დიდი მოურავი გიორგი სააკაძე რომში აღმოჩენილი სურათი, ვულკან ეტნის ამოხეთქა (ორი სურათი) და ორი კარიკატურა („შავრაზმელი“ და „ქართულ ენის მოძულენი“).

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **შავი-ქვის მრეწველობა.** როგორც დეპეშათა სააგენტო გვიდ მოგვცემს, მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები დაინტერესებულ უწყებებისა და კავკასიის ნამესტნიკისა. კომისია შეიმუშავებს ზომებს შავიქვის მრეწველობის განსავითარებლად.

✦ **ყიზლიარის ხაზინის გაცარცვა.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა გაიდაროვმა (დაღესტნელია) სატახტო ქალაქის გაზეთებს გადასცა, რომ დაღესტნიდან შემდეგი ამბავი მიიღო: სოფელ ურუს-მარტანის მამასახლისმა ძამსოევმა ორი კვირით ადრე ყიზლიარის ხაზინის გაძარცვამდე მეორე ნაწილის უფროს მარკოვიჩს აცნობა, ყიზლიარის ხაზინაზე თავდასხმას აპირებენო. მარკოვიჩმა ყველაფერი ეს შეატყობინა ყიზლიარის ადმინისტრაციას და ვერბიცკის. მიუხედავად ამისა, ვერბიცკიმ არავითარი ზომები არ მიიღო, კავკავში წავიდა და იქ დარჩა იმ დრომდე, სანამ ხაზინა არ გაცარცვესო.

✦ **„ერების ერთობა“.** როგორც ვწერდით, მოსკოვში ამ რამდენიმე ხნის წინად დაარსდა საზოგადოება „რუსეთის ერების ერთობა“. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საზოგადოება ამ მოკლე ხანში ბაქოსა და ტფილისში გამოჰგზავნის თავის წევრს სემიონოვს, რომელიც ლექციებს წაიკითხავს და ხალხს გააცნობს საზოგადოების მიზანს. ამას გარდა სემიონოვი შეეცდება განყოფილებების დაარსებას.

✦ **რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** „ბაკუ“-ს დეპეშით ატყობინებენ: გზათა სამინისტროსთან არსებულ კომისიის გამოანგარიშებით, რკინის გზა კავკასიონის მთაზე დაჯდება 53 მილიონი მანეთი, კავკავის რკინის გზის წარმომადგენლების გამოანგარიშებით კი—63 მილიონი. კომისიამ თავისი დადგენილებანი გადასცა ფინანსთა მინისტრს, რომელიც განიხილავს იმ საკითხს, გადაეცეს თუ არა ამ რკინის გზის გაყვანა კავკავის რკინის გზის საზოგადოებას.

✦ **კომედია.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ბედმა მიღალატა“, სამ მოქმედებიანი კომედია აღ. თუთაევისა. ფასი 20 კ.

✦ **საყოველთაო სწავლება.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. ქალაქის გამგეობის წინადადებისამებრ ქალაქის სასკოლო კომისიამ შეადგინა პროექტი ქალაქში საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. აღნიშნული პროექტი უკვე განიხილა გამგეობამ და ორშაბათს, 12 აპრილს, იგი განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობიდან გავიდა პ. გელეიშვილი. გამგეობამ გელეიშვილის ნაცვლად მიიწვია კანდიდატი ა. სტავროვსკი. უკანასკნელ სხდომაზე გამგეობამ აირჩია თანამდებობის პირნი: თავმჯდომარედ მ. ა. ჯაბარი, იმის თანაშემწედ ი. ფრანჩესკი. გამგეობამ დაადგინა, მოიწვიოს საზოგადოების კრება პარასკევს, 16 აპრილს. სხვათა შორის ამ დღეს კრება განიხილავს სასამართლოს მოხსენებას ლ. ყიფიანისა და ვ. ნაგურსკის შესახებ.

✦ **საზოგადოებრივი კლუბი.** დღეს საზოგადოებრივ კლუბში (ბირჟის დარბაზი) ა. ბ. ევანგულოვი წაიკითხავს მოხსენებას ამ თემაზე: „დიდ არარატზე ასვლა“. აჩვენებს სურათებსაც. დასასრულ იქნება საუბარი კლუბის მიერ საზაფხულო ექსკურსიების გამართვის შესახებ.

✦ **შემოწირულება.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: სოფო პავლეს ასულმა და ილია და პავლე ივონის ძეთა იზაშვილებმა—1. მხედრული ხელნაწერი დაბადება, გადაწერილი 1851 წ. ხიზაბავრელ მღვდელ ტერ-ანტონა ხუცანოვისაგან, 2. ლექსები მეფეთა: ვახტანგ VI-სა და არჩილისა და 3. ათი სიგელი; თავადის მეუღლემ, მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ ორი ძველი ქართული თოფი; რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ—1. მხედრული ხელთნაწერი, „დღისა და ღამის გაბაასება“, თეიმურაზ მეორისა, 2. ძველებური საპირისწამლე და 3. ხის პატარა ხატი, რომელზედაც ამოჭრილია ღვთისმშობელი ანგელოზებით და ხარება.

✦ **უპასპორტოები.** ტფ. პოლიციის ცნობებით, მარტის განმავლობაში ქალაქში გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ 397 უპასპორტო კაცი. უმრავლესობა ეტაპით გაუგზავნიათ თავიანთ სამშობლოს ქალაქ-სოფლებში. უპასპორტოები უმთავრესად მივარდნილ და მიყრუებულ სოფლებიდან არიან. ბევრმა ამათგანმა არც-კი იცის, რომ ტფილისში და, საზოგადოდ, რუსეთში უპასპორტოდ გარეთ გასვლა არ შეიძლება.

✦ **მკვლელობა.** 8 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე, ხორუნჟი ნიკოლოზ კურბატოვი, პიროგოვის ქუჩაზე მცხოვრები, შინ დაბრუნებისას შესდგომია რევოლვერის წმენდას. წმენდის დროს რევოლვერი შემთხვევით გავარდნილა, ტყვია მოჰხვედრია თვალში იმის ახალგაზრდა ცოლს 23 წლის რაისას და იქვე მოუკლავს.

✦ **კიდევ სურფ-კარაპეტის ხევი.** როგორც ვწერდით, მერვე უბნის სასანიტარო მზრუნველმა გ. თოიძემ ამასწინად დაათვალიერა სურფ-კარაპეტის ხევი და საშინელი უსუფთაობა აღმოაჩინა იქ. ამის გამო და თანახმად გუბერნატორის კანცელიარიის მოწერილობისა, გ. თოიძემ, მე-8 უბნის ბოქაულისა და ფერშალის თანადასწრებით ხელახლა დაათვალიერა სურფ-კარაპეტის ხევი. ამ დათვალიერების დროს უფრო მეტი უსუფთაობა აღმოაჩინეს. ხევში პატარა ქუჩები და დაღმართებია, სადაც არხები არ არის და ფეხსალაგებიდან მილები პირდაპირ ამ წვრილ ქუჩებში გადის. ამის გამო მოწამლულია იქაურობა. აუარებელი ნაგავი ჰყრია და გამწმენდავი კი არავინ არის. მეტის მეტად საწყალი ხალხი სცხოვრობს ამ რაიონში. შეჰხვდებით სახლ უკაროს და უბინოს. შიგ სახლებშიაც ვერავითარ მოწყობილებას ვერა ნახავთ, ძონძების მეტს. არც სკამია იქ, არც მაგიდა, არც ლოგინი. ასეთ ხალხს რას მოსთხოვ ან სად შეუძლიან მას არხების გაყვანა და სხვა რამ ზომების მიღება სისუფთავის დასაცველად. ამიტომ ქალაქმა თავის ხარჯით უნდა გააკეთოს არხი. უნდა ქალაქმავე დასდვას აქა იქ ნაგვის ყუთები და დაავალოს თავის მედროგეებს ყველა დღე ნაგვის გატანა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასუფთავდეს იქაურობა. ამას გარდა ტეხნიკოსებმა უნდა დაათვალიერონ იქაური სახლები და შეამოწმონ, რამდენად საშიშია საცხოვრებლად. რაც საშიშია, უნდა დაიბეჭდოს.

✦ **გასამართლება.** „რეჩ“-ს ტაშკენტიდან დეპეშით ატყობინებენ: 2 აპრილს ოლქის სასამართლომ გაარჩია ლეონტიევის, შავლიას და მეეტლე გააბაძეს საქმე. ლეონტიევი ადგილობრივ ხაზინის კასირად იყო და 1906 წელს შავლიას და გააბაძეს შემწეობით გაიტაცა 170000 მანეთი. სასამართლომ ლეონტიევს მიუსაჯა 5 ნახ. წლით შავლიას და გააბაძეს თვრამეტ-თვრამეტი თვით ტუსაღთა განყოფილება.

✦ **შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის საქმეთა საკრებულომ 7—8 აპრილს დაამტკიცა ქალაქ ტფილისის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. დამტკიცებულ აღრიცხვით, მიმდინარე წელს ქალაქის ხარჯი ნავარაუდევია 2,125,240 მ. დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნა 12,000 მან. ასე რომ სულ 2,137,827 მან. 28 კაპ. გამოდის.

✦ კვირას, 11 აპრილს, ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი გონიევისა წაიკითხავს: „ქინაქინა“-ს აჩვენებენ მოძრავ სურათებს. დასაწყისი 10 საათზე. სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი მოდოდინაშვილი წაიკითხავს: „კრეჭია მეტი“-ს, ქ-ნი ბარნაბიშვილი—„სინათლისკენ“ დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ქ-ნი ციციშვილი წაიკითხავს: „იავნანამ რა ჰქნა“-ს, ქ-ნი გარბელაშვილი—„ექიმი გაზი“-ს. დასაწყისი 11 საათზე.

◆ მუშტაიდში პოლიციამ დააპატიმრა ბაქოდან ამ დღეებში ჩამოსული აჯი ალი-ასკერ-ოღლი, რომელიც 6 წლით კატორგაში ყოფილა გაგზავნილი, მაგრამ გამოპარულა. დაპატიმრებული ბაქოს პოლიცმეისტერს გაუგზავნია ეტაპით.

◆ ტფ. ქალაქის სამკურნალოებში საექიმო დახმარება მიუღია ქალაქის სასტატისტიკო განყოფილების ცნობებით სულ 1683 სულს.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, შეუდგნენ ძებნას ტფ. მცხოვრების ანნა კონდრატიევის ქალის სენიასი, რომელიც ორი კვირაა გასულა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა.

◆ ქალაქის სასტატისტიკო განყოფილების ცნობებით, მარტის განმავლობაში ქალაქის წყლის მილისაგან ქალაქს მიუღია სულ 24,635,184 ვედრა წყალი, რაც დღე-ღამეში შეადგენს 794,683 ვედრა წყალს ანუ თითო სულზე 2,92 ვედრას. ამავე თვის განმავლობაში 1909 წელს თითო სულზე მოსულა 3,46, ხოლო 1908 წელს 3,04 ვედრო წყალი მარტისავე განმავლობაში ქალაქის საყასბოში დაუკლავთ 10480 სული საქონელი.

◆ 8 აპრილს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: სემიონოვის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ალექსანდრე ჯაბიტოვის სახლს. ზარალი 300 მან. სახლი დაზღვეული ყოფილა. ტფ. საკომენდანტო სამართველოს წინ ტრამვაის ლიანდაგზე ვიღაცას დაედო თუ შემთხვევით დავარდნილა რევოლვერის პატრონა. ვაგონის გადავლის დროს პატრონა გასქდა, მაგრამ არავინ დაშავებულა. 8 აპრილს პოლიციელებმა დააპატიმრეს ქართლელი ვასილ ჩაჩანიძე, რომელსაც ჰბრალდება გენერლის ცოლის ტრეტიაკოვის მკვლელთა დამალვა. 8 აპრილს ლოტკის ქუჩაზე პოლიციელებმა მოჰკლეს ორი ცოფიანი ძაღლი. სოფიო ნიჟარაძისა და ეკატერინე შურიგინისა. ჩხრეკის დროს პოლიციის 1, მე-5 და მე-11 ნაწილში დააპატიმრეს 21 უპასპორტო კაცი.

### ქ უ თ ა ი ს ი

◆ **ქუთაისის ბიბლიოთეკა** (წერილი ქუთაისიდან). ჩვენ ბიბლიოთეკაში ძალიან გახშირდა წიგნების მოპარვა. ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში ქალაქის ბიბლიოთეკაში გამეფებულ უწესრიგობაზე, მაგრამ დაწერამაც ვერ იმოქმედა. წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების გატაცება-მოპარვა ისე გახშირდა, რომ თუ რაიმე ზომები არ იქნა მიღებული, საუკეთესო წიგნები ხელიდან გამოეცლება მკითხველებს. მკითხველების უმრავლესობას მოწაფენი შეადგენენ და, სამწუხაროდ, ამ უმრავლესობაში ისეთი ელემენტებიც არიან ჩაჩხირულნი, რომ თავიანთის უტიფრობით და გაიძვერაობით სხვებსაც ჩირქსა სცხებენ. ხსენებულ ბიბლიოთეკაში ჯერ-ჯერობით ათი ქუდია დატოვებული ათი წიგნის მაგივრად და ამ ათ წიგნში კი ერთი საუკეთესო წიგნია, კარგი ყდით, „ვეფხის ტყაოსანი“, რომლის ფასი ათი მანეთია. შეიძლება გაკვირვებით იკითხოთ: „ქუდით როგორ მოიპარესო“. როდესაც შვეიცარი (რომელიც ტანისამოსს და ქუდებს ინახავს) ქუდს იღებს შესანახად, ნომერს აძლევს. ამ ნომრით მიდის მკითხველი ბიბლიოთეკართან და გამოაქვს წიგნი წიგნ საცავიდან სამკითხველოში წასაკითხად, ნომერს-კი იტოვებს ბიბლიოთეკარი. ბოლოს ირკვევა: ქუდი და ნომერი დატოვებულია, წიგნი-კი წაღებული. ასეთი უტიფარი მკითხველი ან უქუდოდ მიდის ან ალბად მეორე ქუდი აქვს შენახული და იმას იხურავს. ასე და ამ რიგად ჯერ-ჯერობით ათი წიგნია წაღებული. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, დროზე მიაქციოს ყურადღება როგორც ამ ქურდობას, ისე ბევრ სხვა უწესრიგობასაც; დასასრულ მეტი არ იქნება პატიოსანი მკითხველი საზოგადოება თვით მიიღებდეს ზომებს ყველა ამ უწესრიგობის წინააღმდეგ და ალაგმავდეს იმ უტიფარ ვაჟბატონებს, რომელნიც წასაკითხად კი არ მოდიან სამკითხველოში, არამედ საგაიძვერაო და სალაზღანდაროდ.

## მოწერილი ამბები

**თელავი.** იშვიათად თუ შეხვდება კაცი ბუნებით ისეთ შემკულს მხარეს, როგორიც თელავია და ნამეტნავად მისი მიდამოები. მწვანედ მობიბინე ალაზნის ხეობა ერთს მშვენიერს წალკოტს წარმოადგენს. ბუმბერაზი, თოვლით დაფენილი კავკასიონის მთები თავის მწვერვალოებით ცას მიბჯენიან, დაბლა ხეობაში კი, თვალ გადუწვდენელ სივრცეზე, სიცოცხლე სდუღს, მინდორი, თუ ვენახები სავსეა ხალხით—გაზაფხულის ველა კარში გამოუყვანია სამუშაოდ. გაჭყურებ ამ საუცხოვო, თვალ-წარმტაც სურათს და უნებლიედ გაგონდება პოეტის სიტყვები: „...მაგრამ რამდენადაც მშვენიერი ხარ, იმდენათ უფრო მიკვდება გული!“-ო. დიახ, ეს ბუნების სიდიადე და სიმშვენიერეა კიდეც მიზეზი, რომ ასე უწყალოდ შემოსევიან უცხონი და აცლიან კახელ გლეხკაცს უკანასკნელს ლუკმას, მარჩენელ მიწას. აგერ, გაჰხედავთ თელავისა და თიონეთის მიჯნაზე გადაჭიმულა რამდენიმე უზარმაზარი ოსის სოფელი.

—კაცო და თითქოს აქეთ ოსები არ იყვნენ, ასე უცბად სად გაჩნდნენ? —შევეკითხე ახმეტის გზაზე ერთს მოხუცს.

—ჩვენ, სენი წირიმე, კიდევ მეტით ამ გაზაფხულზე რამდენიმე სოფელს, ადგილები უნდა უშოვოთ,—მითხრა იქვე მდგომმა ოსმა.

მერე და მეზობლად მცხოვრები ქართველები? იკითხავთ თქვენ, განა მათ კი არა სჭირდებათ მიწა? დიახაც, რომ სჭირდება, მაგრამ რას დაგიდევს მემამულე, თუ რა ჭირში აგდებს კახელ გლეხ-კაცს მამულის გაყიდვით. იგი მეტის მოლოდინით ეძებს გარეშე მუშტარს და აქაურ გლეხს არც კი აგებინებს, რომ ადგილი აქვს გასასყიდი. თუ აქამდის იგი ხნავდა ათი დღისას, დღეს მესამედი აღარ აქვს მოსახნავად, ისე რომ ნახევარი წლის საზრდო ძლივს შეაქვს სახლში. აღვილი წარმოსადგენია, რა განსაცდელში ვარდება იგი. მემამულე კი ჯერ ფულს ჩაიჩხრიალებს ჯიბეში და მერე ლათიებს მოგიყვება: მე გულით მინდოდა „ჩვენ“ გლეხკაცებზე გამეყიდა მამული; მაგრამ აბა ქართველი გლეხკაცი სად შესძლებს ფულის მოცემას...

მეორე მხრით გასუქებული ჩარჩ-ვაჭრებიც საუკეთესო მამულებს იძენენ სოფლად საკუთრებად, ან იჯარით. უწინ თუ თელაველი ვაჭარი უღმერთო სარგებლით აძლევდა ფულს გლეხკაცს და სარგებელში ზიდებდა თითქმის იმის მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწს, დღეს მან ტაქტიკა შეიცვალა: იგი გამურებული სცდილობს, რაც შეიძლება მეტი მამული ჩაიგდოს ხელში სოფლად. წინანდლის გზაზე ომნიბუსში მე და ერთი ვაჭარი შევხვდით ერთად (აქ მოვაჭრენი უმეტეს ნაწილად სომხობაა). მან ჯერ ადმაცერად დამიწყო ცქერა; შემდეგ, რაკი დარწმუნდა, რომ მე ვაჭარი არ გიყავ და ჩემგნით რამე კონკურენცია არ ელოდა, გულ ახდილად მიამბო შემდეგი: ჩვენ ოთხნი ძმანი ვართ ბაზაზები; თორმეტი წელიწადი ვაჭრობდით და რაც კი შევიძინეთ, ეხლა მამულის ყიდვას ვანდომებთ; ქქვს სოფელში გვაქვს დიდი ზვრები, და ეხლა ერთა სოფ. ვაჩნაძიანშიაც გვინდა, როგორმე ფეხი მოვიკიდოთ, იმიტომ მივდივარ იქ; ჩვენმა ვაჭარმა კაცმა მაგ სოფელში ვერა ჩაიგდოთ, სხვაგან კი გაგვიხარიან ჩვენ მოვდეთო...

აი ასეთ სურათს წარმოადგენს ამჟამად თელავის მაზრა: თიონეთის მხრიდან მოაწვა კავკაოს ოსობა. სოფელს სოფელზე აშენებენ და თან და თან შიგნით იწევენ (აღსანიშნავია, რომ ოსები გაფანტულად აქ-იქ კი არ იძენენ მამულს, არამედ ერთი მხრიდგან, ერთმანეთის მახლობლად), მეორე მხრიდან კიდევ, ე. ი. თელავის მხრიდან, კალიასავით შემოსევია სოფელს ჩარჩ-ვაჭრობა და აცლის კახელ გლეხს საუკეთესო მამულს. ქართველი გლეხი? რას შვრება, სადაა ძილშია? აქამდის დიახაც რომ სძინებია, თორემ ხომ ხედის დადება მიწას არავის დაანებებდა. თავ-ჩაქინდრული მუშაობდა მინდორში და ვერ წარმოედგინა, თუ მაცხოვრებელ მიწას ვინმე წაჰგლეჯდა, დღეს კი მასაც თვალი მოუყვშენტია და უიდვის ენარსაც იჩენს; მხოლოდ ერთი რამ აბრკოლებს მას—გზების უცოდინარობა ყიდვის საქმეში. მერე და ეს ხომ ზნეობრივი მოვალეობაა ყოველივე ინტელიგენტისა, ნამეტნავად სოფლად, —თუ კი მოიძებნება ასეთი ინტელიგენტი,—ხელი შეუწყოს და გაუადვილოს მკვიდრ | მცხოვრებს მიწის შეძენა. ვიმეორებ, თუ კი მოიძებნება მეთქი სოფლად, რადგან ქართველი ინტელიგენტი მოგეხსენებათ ძალზე გაურბის სოფელს. იკითხავთ—თელავის ინტელიგენციაო? დაშორებულ მანძილით სოფელს, თელავის ინტელიგენციის უმცირესი ნაწილი მხოლოდ სწუხს და კოდებს სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხზე და სცდილობს გამოუძებნოს რამ საშველი, ხოლო უმრავლესობა ერთს საკითხს გაუტაცნია და ამ საქმეს აძლევს უმთავრესად თავის ენერგიას—თელავში პროგიმნაზიის დაარსებას. საკვირველი ხალხი ვართ, ღმერთმანი, ჩვენ ქართველები: როდესაც ქართულმა პრესამ ხმა ამოიღო, რომ გიმნაზიები არას გვაძლევენ, მხოლოდ მოხელეებს გვიზრდიანო, რომ ჩვენთვის უფრო საჭიროა სამეურნეო და პირველ-დაწყებითი სასწავლებლები, ნამეტნავად სამეურნეო საქმის მოწყობაო, ჩვენ ყურს უგდებდით; ხოლო როდესაც საქმე მიდგა საკუთარ ბავშვის აღზრდაზე, მაშინ კი უკურავად, მთლად დავივიწყეთ მამულისთვის გამოსადეგი ცოდნაც, მეურნეობაც და სხვა და თავ-პირს ვიმტვრევთ, რომ უსათუოდ გიმნაზიაში მივსცეთ ბავშვი, კერძო რუსულ პანსიონებშიაც გამჯობინებთ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ქართულ გიმნაზიას (ამ უკანასკნელში დედა-ენა მაინც ენახება ბავშვს).

ასეა სხვაგან, ასეა აქ თელავშიაც. მეტი წილი ფული ქართველობამ შეჰკრიბა (ჯერ მარტო ორმა ქართველმა 3000 მან. გამოიღო). დიხარჯა უთვალავი ენერგია, და გამოითხოვეს ნებართვა... პროგიმნაზიის გახსნისა. გებადება კითხვა: ნუთუ უფრო სასარგებლო არ იყო ქართველთათვის ჩვენისავე ფულით, პროგიმნაზიის ნაცვლად, სასოფლო მეურნეობის უპირველეს კუთხეში გაგვეხსნა სამეურნეო სასწავლებელი? ან გაგვემართა ამერიკული ვაზის სამაგალითო სანერგე, რადგან შეიძლება დღე დღეზე ფილოქსერამ თავი დაგვიკრას და მაშინ ხომ მთლად მშრალზე დავრჩებით და უმთავრესი სადსარა კახეთის ცხოვრებისა—ვენახები—ხელიდან გამოგვეცლება? ვინც კი მოისურვებდა გიმნაზიაში ბავშვის აღზრდას, მისთვის მიგვეთითებინა ტფილისი, ხოლო თუ მას იშორებდნენ, მაშინ დევ ისევ ქალაქ თელავს აეგო პროგიმნაზია მთავრობის და ხმარებით, მთავრობის მოხელეების გამოსაზრდელად, მით უმეტეს, რომ 80 მან. დანიშნული სწავლის ფასად. მარტო შეძლებულ კლასს აძლევს საშუალებას ამ სასწავლებელში შვილის აღზრდისას, ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ, რომ რომ ამ საქმის მოთავეთ მარტო შეძლებული კლასი არა ჰყავდათ სახეში, არამედ იცავდნენ აგრეთვე ხელ მოკლე დი საშუალო ქონების პატრონთა ინტერესებსაც. თუ რა გვარ მოხელებს გვზრდიან მთავრობის სასწავლებელნი შემდეგის ინციდენტიდანაც სჩანს: 28 მარტს ქალაქის კლუბში გახურებულ ლოტოს თამაშის დროს წაიკიდა ორი აქაური ახალ გაზდა-პედაგოგი; ერთს მათგანს ძველი ვალი მართებია მეორესი, ქაღალდისა, ამაზე შეჰკივიან და საქმე მუშტის კრივზე მიმდგარა. ძლივს გაუშველებიათ. „პედაგოგი“ და მუშტის კრივი? როგორ მოგწონს, მკითხველო! მერე ისიც ქალაქის კლუბში, მთელი საზოგადოების სასეიროდ, ერთი ამ ახალგაზდა პედაგოგთაგანი უზარ-მაზარ აკადემიის ნიშანსაც ატარებს, ამბობენ, დამეც ამ ნიშნით სძინავსო... სასაცილოა სწორედ, რომ ასე სამწუხარო და ჩ-მათიქრებელი არი უის!

**ნიჩბისელი.**

—

**სიღნაღი.** არ იქნა და ბოლო არ მოეღო მანტაჟისტების თავგასულობას. ვიდას ახსოვს ქალაქი და მისი საქმეები, ყველა შიშს შეუპყრია. დეკემბერსა და იანვარში რაც ფული აკრიფეს, იმით გული ვერ იჯერეს და ხელ ახლა ისევ გამოვიდნენ ასპარეზზე. წარსულ კვირას, ღამის 8 საათზე, მიუხტნენ მდიდარ ვაჭრის ვ. შლამოვის მაღაზიას და მოსთხოვეს 5,000 მანეთი. შანტაჟისტები თავიანთ მოთხოვნას ამყარებდნენ თვით ვანო შლამოვის დაპირებაზე. შლამოვი თებერვალში გარდაიცვალა ულდა ჯაგრისგან. მაღაზიაში მომსახურე პატარა ბიჭმა განგებ გაიწ გამოიწია, ასტეხა ხმაურობა და თანაც სხვებსაც გააბედვინა ყვირილი. შანტაჟისტებს ეგონათ, ჩასაფრებულები გვიყვირიანო და გაიქცნენ შეშინებულნი მეორე დღეს მუქარის წერილიც მიიღეს. პოლიცია შეუდგა გამოძიებას და რამდენიმე პირი დააპატიმრა. მათ შორის იცნეს ერთი დამცემთაგანი, აქაურ ოქრომჭედლის ოჯახიზას ვაჟი.

ამ თვის ხუთში გაისმა ბაზარში სროლა. შეშინებული ხალხი ფეხზე დადგა. ცოტა ხნის შემდეგ საქმე ასე გამოირკვა. ურიადნიკ დობრიდინს შეტყობილი ჰქონდა, რომ ვინმე უცნობი უპირობს მას მოკვლას და თვალს ადევნებს. როდესაც უცნობს ბაზარში ჩაუვლია, ურიადნიკს ნიშანი მიუცია და გამოჰკიდებია შესაპყრობად. უცნობი შევარდნილა გვერდ მეფაიტონეს ეზოში. ურიადნიკს და ერთს სტრაჟნიკს განუზრახავთ გასავლების შეკვრა, მაგრამ უცნობი მაინც ხელიდან გასხტომიათ. ასტეხა სროლა ორივე მხრიდან, თუმცა კი უშედეგოდ. ბოროტგანმზრახველი მალე მიემალათ. დაგზავნეს სტრაჟნიკები ახლო-მახლო სოფლებში საძებნელად. საღამოთი ყველანი ცარიელნი მობრუნდნენ.

**ლეური.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 8 აპრილს, ქართულ თეატრის კაპელდინერების სასარგებლოდ ქართულ დრამატიულ არტისტების ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას კომედია „ალღუმი“. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. შეიძლებოდა უფრო უკეთესად ეთამაშნათ, რომ ანსამბლს არ ესუსტნა. კარგი იყო იმხნელი, გუნია, იმედაშვილი (ექიმი), გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძე, და მგალობლიშვილი, თუმცა ამ უკანასკნელზე უნდა ვსთქვათ, რომ ყოვლად შეუწყნარებელია იმის მიხვრა-მოხვრა, ყოველთვის წელში ოთხად მოღუნულია, გადად-გადმოდის მთვრალივით. ამას მარტო ამ წარმოდგენაზე კი არ ვამბობთ, საზოგადოდ შეგვინიშნავს ეს. როლების უცოდინარობა შესამჩნევი იყო.

ხალხი საკმაო დაესწრო.

—

**დასის მოგზაურობა** ქართულ დრამატიულ დასის მსახიობებმა, ვ. გუნიას მეთაურობით, შეადგინეს ამხანაგობა და ნაალდგომევს წარმოდგენების მართვას შეუდგება. ამხანაგობამ საგასტროლოდ ქუთაისიდან მოიწვია ნინო ჩხეიძე.

—

**ვასილ აბაშიძის ბენეფისი.** 24 აპრილს ქართულ თეატრში ვ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენას გამართავს ქართველ არტისტთა ამხანაგობა. როგორც ვიცით, სეზონის განმავლობაში ვ. აბაშიძეს ბენეფისი არა ჰქონია. ამ ბენეფისისთვის ამზადებენ კომედიას „გაკოტრებულ აზნაურს“ და ვოდევილს „კუდიან ვარსკვლავს“.

## შორეული აღმოსავლეთი

**რუსეთ-იაპონიის შეთანხმება.**

იაპონიიდან რუსეთში მოვიდა პრინცი ფუშიმი თავის მეუღლით და როგორც დეპეშიდან ვიცით, იგი რუსთ ხელმწიფესაც წარუდგა ცარსკოე-სელოში. თუ რუსულ და უცხოეთის გაზეთებს დავუჯერებთ, პრინცი ფუშიმი დიდად მნიშვნელოვან საქმისთვის მოსულა რუსეთში. გაზ. „უტრო როსიი“ სწერს.

„არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ პრინც ფუშიმი რუსეთში მოვიდა მოსალაპარაკებლად იაპონიისა და რუსეთს შორის საკავშირო შეთანხმების თაობაზე მოსალაპარაკებლად. რუსული პრესა წინააღმდეგი არაა ამ კავშირისა რომელიც, როგორც ეტყობა, ჰკუაში მოსდის იაპონელ საზოგადოებას ტოკიოში. როდესაც პრინცი ფუშიმის ტოკიოდან რუსეთში ისტუმრებდნენ, იაპონელებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ მან რუსეთთან კავშირის შეკვრა მოახერხოსო.

ამას წინად, იაპონიის ახალ, მაგრამ უკვე ძლიერ პოლიტიკურ პარტიის კონსტიტუციონურ—სახალხო პარტიის დაარსების დღეს, ამ პარტიის მეთაურმა მასამი სოისიმ სხვათაშორის სთქვა, რომ იაპონია რუსეთის კავშირი აუცილებელიაო, თუმცა ეს აზრი მან გამოსთქვა როგორც თავისი პირადი აზრი და არა პარტიული, მაგრამ ცხადია, რომ ახალ პარტიის სხვა მეთაურებიც ეთანხმებიან ამ აზრს. ასეა თუ ისე, ამ აზრს, გამოთქმულს ასეთის გავლენიან მოღვაწის მიერ, როგორიც სოისია თანაც ახალ პარტიის დაარსების დღეს, მაინც ანგარიში უნდა გაუწიოთ.

სოისის აზრის თაობაზე იაპონურმა გაზეთმა „ხნოჩი“-მ დასწერა: „თუმცა ჯერ-ჯერობით ნაადრევია რუსეთთან კავშირზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა მაინც შევნიშნოთ, რომ სოისის აზრს თანაგრძნობით მიეგებება იაპონიის საზოგადოება“. ეს გაზეთი არა ფიქრობს, რომ იაპონიამ ფორმალური კავშირი შეკრას რუსეთთან, მაგრამ იგი დარწმუნებულია მაინც, რომ ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის ფაქტიურად კავშირის მსგავსი იქნებაო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ რედაქციებს და იმ პირთ, რომელნიც დაეხმარნენ დ. აბაშის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. სია: გაზ. „დროების“ რედაქცია, რომელმაც ნახევარ ფასად დაგვითმო გაზეთი, მარიამ პავლეს ასული მელაძისა, რომელმაც გამოგვიწერა „დროება“, გაზ. „ჩვენი გაზეთის“ რედაქციას, რომელმაც ნახევარ ფასად დაგვითმო გაზეთი, ფოტოგრაფი პავლე ბოლქვაძე, რომელმაც გადაიხადა მეორე ნახევარი „ჩვენი გაზეთის“ მთელი წლის ღირებულებისა, „ეშმაკ-სალამურის“ რედაქცია ჟურნალის სრულიად უფასოდ დათმობისათვის, ვლადიმერ ბესარიონის ძე ელიავა, რომელმაც თავის ხარჯით გამოგვიწერა გაზ. „Тифлис. листокъ“-ი ჟურნალ განათლების რედაქტორი ლუარსაბ ბოცვაძე, დაგვითმო ჟურნალის ორ-ორი ნომერი მიმდინარე და წარსულ წლებისა, ფარმაცევტი ბაგრატ ცოლიძე—5 მ. „Вѣстникъ знанія“-ს გამოსაწერად, ვაჟ. ბესარიონ ტუზურავა—5 მანეთის წიგნები და ვაჟ. აკაკი გვიჩია—15 მანეთის წიგნები. ვმადლობთ აგრეთვე დათიკო პავლეს ძე იოსელიანს გულწრფელ და თავგამოდებულ შრომისათვის ბიბლიოთეკა-სამკით. ღონისძიება-შემოწირულების მოსაპოებლად.

აბაშის უფასო ბიბლიოთეკის სამზრუნველოს წევრები: **ბაბილინე იოსელიანი, ჯ. ჩიქოვანი, ვ. ქობულია, ი. ჟვანია.**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულწრფელი მადლობა გამოვუცხადოთ პოლკოვნიკს ილიკო ისაკის ძე ხოსიტაშვილს, რომელმაც სოფელ ბოდბისხევის ღარიბ სახალხო სამკითხველოს გამოუწერა გაზეთი „დროება“.

სამკითხველოს წევრთა დავალებით გამგე **შაქრო ნაცვლიშვილი**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ვენ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—82)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნაგასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

**ექიმები:**

**გ. ა. ნაგასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაგასარდიანი.**

**ბორჯ**ომის ცენტრის მახლობლად, სასახლის პარკის გვერდზე,

**იაფად იყიდება მიწის ნაჭერი,**

ყოფილი უგანათლებულეს თავადის **ვორონცოვისა**, ზომით 15,000 ოთხკ. საჟენი. შესამჩნევი ნაწილი ადგილისა უჭირავს პარკსა და ხე-ხილის ბაღს.

ცნობების გაგება 12 აპრილამდე ტფილისში სასახლის ქ., „ვიქტორიას“ სასტუმროში კ. ე. გრიგორიევთან, ხოლო შემდეგ იალტაში, თავ. ტრუბეცკოების კანტორაში, ვინოგრადნის ქ., ს. ბუხშტაბისა. მიწის ნაჭრის დასათვალიერებლად ადგილობრივ დარაჯია. (5—1049—3)

**ქუთაისში**

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—24)

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული“**

(წლიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.**

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები»—ზღაპარი ევალდის; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდის; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

**თევზის სავაჭრო**

**ზ. ზ. დავიდოვისა**

(ყოფილი ქამოევისა)

რომელიც მოთავსებულია თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის ბაღის პირდაპირ, ამით აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ 7-დან ვიდრე 12 აპრილამდე გაიყიდება

**● წვრილი ქართული ზურგიელი ●**

**გირვანქა ერთ აბაზად**

მაღაზიაში არის გასასყიდად ზურგიელები თითო ცალი ოთხი გირვანქა და მეტი. (4—227—4)

**ა ბ ა ნ ო**

ვერის დაღმართზე სახლი № 7.

აბანოში მშვენიერად მოწყობილი ნომრებია და ორი საერთო აუზი—ერთი ქალებისა და ერთი ვაჟებისათვის.

აბანო ღია არის დილის 6 საათ. 12 საათამდის.

პატივისცემით **ზ. ი. აბრამაშვილი.**

(5—გაჟ.—2)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**